87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №15 {7020} 3 აგვისტო 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

2020 წლის ოქტომბრის არჩევნები საქართველოს დემოკრატიის საერთაშორისო გამოცდაა!

2020 წლის 31 ოქტომბერი საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების დღეა.

ამ დღეს, პარლამენტარებთან ერთად, თერჯოლელები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის არჩევანსაც გააკეთებენ.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე გაიმართება ფორმულით: 120 დეპუტატი პროპორციული სისტემით, პლიუს 30 დეპუტატი მაჟორიტარული სისტემით.



იმის გამო, რომ დამსხვილდა და შეიქმნა ახალი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები, თერჯოლის, ტყიბულის, ზესტაფონის და ბაღდათის მოსახლეობა ერთ მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საარჩევნო ოლქი (№49) შედის ზესტაფონის №21 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის შემადგენლობაში.

„თერჯოლის“ ამ ნომერში ვიწყებთ პარლამენტის **2020 წლის არჩევნებისათვის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი №49 თერჯოლის საარჩევნო უბნის საზღვრების გამოქვეყნებას.**

☞5

შიმშილაქედში ცისფერი ალი აინთო!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა იმერეთის გუბერნატორ ზვიად შალამბერიძესთან ერთად თერჯოლაში, საზანოს თემის სოფელ შიმშილაქედს ეწვია და სოფლის მოსახლეობას გაზიფიცირების სამუშაოების დასრულება პირადად მიულოცა.

„კოვიდ-19“-ის გამო ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და საქართველოს მოსახლეობისა და აბონენტების დიდ ნაწილს სამი თვის კომუნალური გადასახადები დავუსუბსიდირეთ. აქედან გამომდინარე, ეს არის მართლაც ძალიან დიდი, მასშტაბური პროგრამა, რომელსაც „კოვიდმაც“ კი ვერ შეუშალა ხელი. გაზიფიკაციის პროცესი ყველა ვადის დაცვით გრძელდება, როგორც ეს მოსახლეობას დავპირდით“ - განაცხადა და მინისტრმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად გაზის ანთების სიმბოლურ ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა.

გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ორგანიზებით, ღონისძიების ფარგლებში, სოფელში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მელანო ქუტიძის ოჯახს საჩუქრად გაზქურა გადასცა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სულ 45 სოფელი და ერთი ქალაქია. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში მთლიანად გაზიფიცირებული 44 სოფელი და ქალაქი თერჯოლა. დარჩენილ ერთ სოფელში—სეფარეთში გაზიფიკაციის სამუშაოები სულ მალე დაიწყება, ხოლო სოფელ სკანდესა და გოგნში ცისფერი ალი დღე-დღეზე აინთება.

მმართველმა პარტიამ მაჟორიტარი კანდიდატები უკვე დაასახელა

მმართველმა პარტიამ, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატები გასულ თვეში დაასახელა.

ზესტაფონის, ბაღდათის, თერჯოლისა და ტყიბულის 21-ე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატია ბეჟან წაქაძე, ზესტაფონისა და ვანის საპატიო მოქალაქე, ეკონომისტი, წარმატებული ბიზნესმენი და მეცენატი.

ბეჟან წაქაძე: „ჩემთვის დიდი პატივია, რომ მეძლევა შესაძლებლობა, ვიყო ზესტაფონელების, ტყიბულელების, თერჯოლელებისა და ბაღდათელების წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. თუ რამ კარგი გამომყვა ცხოვრებაში, ეს ამ მიწის და ჩემი თავაზიანი, ტრადიციების მოყვარე, წესიერი და მშრომელი იმერელი ხალხის დამსახურებაა! მე მიყვარს დავით კაკაბაძის ფუნჯით და დავით კლდიაშვილის კალმით დახატული კოპწია იმერეთი!

მე ერთი თქვენგანი ვარ, თქვენს წიაღში გაზრდილი და კარგად ვიცნობ ჩვენი რეგიონის პრობლემებს. თქვენი თანადგომით, თქვენთან ერთად, ძალ-ღონეს არ დავიშურებ ამ პრობლემების მოსაგვარებლად. გავაგრძელებ იმ საქმის კეთებას, რასაც ყოველთვის ვაკეთებდი.

თქვენ იმსახურებთ კეთილდღეობას და უკეთეს მომავალს! მიგულეთ თქვენს გვერდით, თქვენს გულშემატკივრად! მადლობა „ქართულ ოცნებას“ ნდობისთვის. ყველანი ერთად ღირსეულად, სიყვარულით, რწმენით ვემსახუროთ საყვარელ სამშობლოს!“

ლაშა გოგიაშვილი: „თერჯოლის მერი უნდა იყოს ყველას მერი, არ უნდა იყოს კაბინეტში გამოკეტილი ადამიანი“

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლად ლაშა გოგიაშვილის დანიშვნის შემდეგ, „თერჯოლამ“ რამდენჯერმე გააჟღერა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩვენი გაზეთი მკითხველს, ვრცელ ინტერვიუს მუნიციპალიტეტის ახალ ხელმძღვანელთან, თანამდებობაზე დანიშვნიდან 100 დღის თავზე შესთავაზებდა.

დათქმული 100 დღეც გავიდა და შეპირებული ინტერვიუც შედგა. მერთან საუბარი იმდენად ვრცელი და ტევადი გამოვიდა, რომ მისი ერთ საგაზეთო მასალად შეკვრა და მკითხველისათვის შეთავაზება მიუღებლად ჩავთვალეთ.

ასეთი რეალობის გათვალისწინებით და რომ ინტერვიუს მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც შეიძლება სრულად მივიდეს მკითხველამდე, გადავწყვიტეთ ამ საუბრის შინაარსი ორ ნაწილად გაგვეყო.

ინტერვიუს პირველ ნაწილში, რომელსაც ამჯერად გთავაზობთ, კიდევ უფრო ახლოს გაგაცნობთ მერის მოვალეობის შემსრულებელს და მის ოჯახს, იმ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და პრინციპებს, რომელთა რეალიზებასაც მშობლიურ რაიონში აპირებს მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელი.

ინტერვიუს მეორე ნაწილი კი, რომელსაც ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ, მთლიანად დაეთმობა იმ კონკრეტულ საქმეებს, რაც მიმდინარე წელს კეთდება მუნიციპალიტეტში (ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური პროგრამები, ბიუჯეტი).

☞2,3

ლაშა გოგიაშვილი: „თერჯოლის მერი უნდა იყოს ყველას მერი, არ უნდა იყოს კაბინეტში გამოკეტილი ადამიანი“

1☞

ბატონო ლაშა, უპირველესად განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ადრე შეთანხმებული ინტერვიუ ფაქტიურად თავიდანვე დათქმული დროისათვის შედგა. ჩვენი პირველი კითხვა სწორედ მერის მოვალეობის შემსრულებლად თქვენი დანიშვნიდან განვლილ პერიოდს ეხება.

რა მოგცათ ამ ასმა დღემ, რა დაინახეთ, როგორია დღეს თერჯოლა და თერჯოლელები. როგორი დატოვეთ წლების წინ, რა სხვაობას ხედავთ დღევანდელობასთან. როგორ შეაფასებდით ამ წლებს. მოკლედ, თერჯოლა მაშინ, თერჯოლა დღეს...

15 წლის ვიყავი—მეცხრე კლასში, როცა სასწავლებლად თბილისში წავედი. მე, როგორც ამ ასაკის ადამიანს ჩვევია, ძირითადად ჩემს ტოლებთან, თითქმის ყველა თერჯოლელთან ვმეგობრობდი. ამჟამად სხვა რეალობაში მოვხვდი, იმ გაგებით, რომ ახლა რაიონის მმართველის ფუნქციით დავბრუნდი და თანაც დიდი გასაჭირის დროს—კორონავირუსით ავჟამიანობისას, მსოფლიო პანდემიის პერიოდში.

თავისთავად სხვანაირად შევხედე თერჯოლას, ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი, ბევრიც გვარდება ნელ-ნელა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოტივირებული ვართ, რაც შეიძლება ხალხთან ვიყოთ ახლოს, მეტი გავიგოთ თითოეული ადამიანისაგან.

რა თქმა უნდა, გზაც საჭიროა, წყალიც, ინფრასტრუქტურული პროექტებიც, მაგრამ უპირველესად მაინც იმ კონკრეტული ადამიანების პრობლემებია გადასაწყვეტი, ოჯახებში რომ უჭირთ. ამ მხრივ დახმარებები გავზარდეთ მაქსიმალურად, შეჭირვებული ვინც არის შესაბამისი სტატუსით, მათთან მივედით და მივუტანეთ პროდუქტები, რაც შეგვეძლო იმ შესაძლებლობების მაქსიმუმის ფარგლებში. ასე შევხვდი თერჯოლას და ახლა კი ხედავთ, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებით ლამაზდება ჩვენი ქალაქი. მაქსიმალურად გვაქვს კონტროლზე და ვუფუცხუნებთ შემსრულებლებს, რაც შეიძლება მალე, მალე... ხალხი ხედავს ყველაფერს, რაღაც არ არის ლამაზი —ერთი დღე ისვენებდე, მეორე დღეს მუშაობდე... მერის წინ აკეთებენ შემოსასვლელს და სკვერს, ასევე კეთდება 9 აპრილის სკვერი, დასრულების ფაზაშია დეკორატიული ბეტონის ღობეები რუსთაველის ქუჩაზე, მუშაობენ დავით კლდიაშვილის ძეგლისა და იქვე არსებული სკვერის რეაბილიტაციაზე. ჩვენ მშენებლებს ვურჩიეთ, რომ ეტაპობრივად თითო ობიექტზე მოეხდინათ ძალების კონცენტრაცია, რადგან არ გამოვა—აქაც ავანგრიოთ, იქაც...

ჩაკითხვაზე, იუსტიციის სახლის სამომავლო პროექტთან დაკავშირებით გეტყვით, რომ მთელი ბავშვობა ამ შენობაში გავატარე. აქ რიტუალების სახლი იყო ჩემი მოსწავლეობის პერიოდში. ბევრი რამ მაკავშირებდა ამ ადგილთან. ღონისძიებებს ვატარებდით, კონცერტებს...

ძალიან ემოციური მოგონებები მაქვს. ახლა იმით ვინუგეშებ თავს და ხალხს იმით ვაწყნარებ, რომ მისი ავარიულობის გამო, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით იგი ექვემდებარებოდა დემონტაჟს. ამ ადგილზე უნდა ავაშენოთ იუსტიციის სახლი, იგივე ფუნქციებით, როგორც თბილისში... ჩვენ ჩვენი ვალდებულება შევასრულეთ—შენობის დემონტაჟი გავაკეთეთ და ტერიტორია გავათავისუფლეთ. ალბათ მალე გაცხადდება პროექტიც და მშენებლობის დაწყების ვადებიც...

ასე ვალამაზებთ თერჯოლას და კიდევ რაც მის გალამაზებას ეხება, ახლახანს, გავხსენით ლიტერატურული კუთხე სპორტის სასახლესთან მიმდებარე სკვერში, რომელიც მოუვლელი იყო და მოვაწესრიგეთ, სხვათაშორის ბატონმა კახი კალაძემ გვაჩუქა საბაღე სკამები, რომლებსაც მალე მივიღებთ (30 ერთეული). თბილისის მერია კიდევ ბევრ რამეს დაგვპირდა...

მოკლედ, სპორტის სასახლესთან ბაღიც გავალამაზეთ და მინისტადიონიც, სადაც ღამე უსინათლოდ თამაშობდნენ ბავშვები, აქ უფასო WF-იც მუშაობს და მალე დიდი მონიტორიც გვექნება, სადაც ახალგაზრდები ფეხბურთებსაც ნახავენ და სხვა... ჩემს ბავშვობაში კი ასე არ იყო, შუქი საერთოდ იშვიათად გვქონდა, ეზო-ეზო დავდიოდით და ვთამაშობდით...

თერჯოლის გალამაზებას რაც შეეხება ეს არის.

პრობლემებს რაც შეეხება, ვფიქრობ, საქართველში კი არა, არსად არ მოიძებნება მუნიციპალიტეტი, რომ იქ პრობლემები არ იყოს. თუ იმაზე ვსაუბრობთ, რა დავტოვე და რა დამხვდა, მაშინ გეტყვით, როცა მე წავედი ბევრად სხვა პირობები იყო, ელემენტარულად, როგორც უკვე ვთქვი, შუქი არ გვქონდა, ბევრჯერ კინოფილმის ყურებაც და სხვა სახის გართობაც ამის გამო შუა გზაზე შეგვიწყვეტია და სახლში წავსულვართ... თუ ამ კუთხით წავალთ, ბევრი რამ გამოსწორებულია. რა თქმა უნდა, მარტო შუქს არ ვგულისხმობ—კომუნიკაციები, თანამედრვე ტექნოლოგიები... ახლა ახალგაზრდებს თვითრეალიზაციის ბევრად მეტი საშუალება აქვთ. ახლოსაა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, საიდანაც ნებისმიერ ქვეყანაში შეგიძლია მოხვდე, ისწავლო იქ... წელს პირველ სტუდენტებს მიიღებს ქუთაისის მაღალტექნოლოგიური ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტი... ცხოვრება შეიცვალა უკეთესობისკენ... თერჯოლას თუ ვიგულისხმებთ, აქაც ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება... ღამე თუ აქ გაივლით—აუცილებლად მოგეწონებათ სასიამოვნოდ განათებულია ქალაქი. ჩვენი მოტივაციაც ეს არის, დღე და ღამე მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ, რომ მოვიფიქროთ რაღაც ახალი... შაბათ-კვირა ჩვენ არ ვიცით, ვსაუბრობთ-ვფიქრობთ, გავაკეთოთ ისეთი რამ, თერჯოლას და ხალხს რომ გამოადგეს...

თქვენი ხედვით, როგორი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის მერი, მითუმეტეს როცა იგი ადგილობრივია და მეტად რთულ, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ გარემოში უწევს მუშაობა.

ჩემთვის ორმაგად და სამმაგად სასიამოვნო იყო, რომ თერჯოლაში ჩემს წარდგენას თერჯოლელების კარგი რეაქცია მოჰყვა. ჩემი თაობის თერჯოლაში უბანი არ იყო ისეთი, მეგობარი არ მყოლოდა. ახლაც ასეა—ჩემი თაობა და პლიუს-მინუს ათი წელი ახლაც ჩემი სამეგობრო წრეა... არაფერს ვამბობ თბილისელ თერჯოლელებზე...

თერჯოლის მერი უნდა იყოს ყველას მერი, არ უნდა იყოს კაბინეტში გამოკეტილი ადამიანი. მაქსიმალურად ვცდილობ ამას, მაგრამ კაბინეტში ჯდომაც მიწევს და ეს უმეტესად მაშინ, როცა ადამიანებს ჩემთან შეხვედრა სწორედ ჩემს სამუშაო ოთახში უნდათ, როგორც ჩანს შეხვედრის ასეთი ფორმა მათთვის პირადულად მნიშვნელოვანია და ეს ასევე მნიშვნელოვანია ჩემთვისაც...

თავისთავად დიდი პასუხისმგებლობაა მშობლიურ რაიონში მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოსვლა. ფაქტია, რომ ბევრი გეყოლება კმაყოფილიც, განაწყენებულიც, მაგრამ უნდა ეცადო, რომ კმაყოფილი ბევრად მეტი გყავდეს. სამართლიანი უნდა იყო, არ იყო მიკერძოებული.

მესმის, რომ ასეთი მერობა მეტად რთული და მძიმეა, მაგრამ სწორედ ჩვენი ვალია გადავდგათ ისეთი ნაბიჯები და მოვიფიქროთ ისეთი პროექტები, რომლებიც ყველა განსხვავებული აზრის ადამიანში იპოვის თანადგომას, დაჩრდილავს პოზიციათა განსხვავებას და ყველასათვის საერთო საქმედ იქცევა. ასეთი საქმეებისათვის კი ბევრი საერთო მიზნის შესასრულებლად შეიძლება კომპრომისი, ყველა მხარე დაუშვებს რაღაც დათმობებს, ეს კი ურთიერთობებში სიხისტესაც შეასუსტებს და წარმატებული შედეგების მიღწევის კარგ შანსებსაც მოგვცემს.

ყოველ საღამოს ფეხით დავდივარ თერჯოლის ქუჩებში მოადგილესთან, ჩვენს თანამშრომლებთან ერთად, თუ აქ არიან შვილებსაც თან გავიყოლებ ხოლმე. ვხვდებით ხალხს, ჩავუჯდებით, ვსაუბრობთ თითოეულის გასაჭირზე, საერთო სატკივარზე.

თქვენსა და თქვენს ოჯახზე, უახლოეს ადამიანებზე, რომლებიც აქ ცხოვრობენ, თერჯოლას და თერჯოლელებს ბევრი კარგი სმენიათ. მაგრამ, მათ მიერ თქვენი ცნობადობა, ალბათ მაინც არასაკმარისია. რას გვეტყვით თქვენი მეუღლისა და შვილების შესახებ, როგორ ეგუებიან ისინი თქვენს უჩვეულო რეჟიმში მუშაობას...

ჩემი ბაბუა, სიმონ ნარიმანის ძე გოგიაშვილი სოფელ რუფოთიდანაა, ჩვენი ფესვები ამ სოფელშია და მას დღესაც ჩემს მშობლიურ სოფლად მივიჩნევ, მიუხედავად იმისა, რომ თერჯოლაში დავიბადე, გავიზარდე

და სკოლაშიც აქ ვსწავლობდი. ბაბუაჩემი მაშინდელ სოფელ თერჯოლაში რაიონული ცენტრის გადმოტანის შემდეგ დასახლდა, ის მუდამ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა, განთქმული იყო კეთილსინდისიერებით და პრინციპულობით. მამა განათლებით ინჟინერია, დედა პედაგოგი, მამიდები ასევე უმაღლესი განათლებით არიან. ლამარა წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რაიონის კულტურის განყოფილებას, ახლა პენსიონერია. მყავს მეუღლე და სამი შვილი.

ჩემი მეუღლე სოფიო ცინცაძეა. სპეციალობით იურისტია და მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტში მთავარ სპეციალისტად. ჩემი შვილებია: მარიამი, გიორგი და ნიკოლოზი. ბავშვები ძალიან მოკედლებული არიან ჩემზე. მოკლედ, ძალიან გაგვიჭირდა. პანდემიის დროს წამოყვანილი მყავდნენ თერჯოლაში. ახლა, როგორც საშუალება გამოჩნდება, ან აქეთ ჩამომყავს ან მე ჩავდივარ იქეთ. აქ მინდა გადმოვიყვანო ყველა. ძნელია უერთმანეთოდ. ოჯახთან რომ ცხოვრობ უფრო ენერგიული ხარ, უფრო მოტივირებული...

რა განცდებით მიიღეთ ახალი შეთავაზება—მშობლიური რაიონის თავკაცობა... რა გაწუხებთ, რას ეტყოდით თერჯოლელებს...

ვმუშაობდი ქ. თბილისში, სხვადასხვა თანამდებობებზე, ბოლოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორის მოადგილედ, აქტიურად ვიყავი ჩართული ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ როცა ახალი თანამდებობა შემომთავაზეს, გარკვეული განსჯის შემდეგ დავთანხმდი, თუმცა გადაწყვეტილება იოლად არ მიმიღია. რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, როგორ შემხვდებოდა ჩემი თერჯოლა და როგორ შევხვდებოდი მე მას ხელმძღვანელის რანგში, შევძლებ კი მე სრულად დავიხარჯო ხალხის კეთილდღეობისათვის, ქალაქის იერ-სახის კიდევ უფრო გალამაზება-გამშვენიერებისთვის? მაგრამ რაკი გადაწყვეტილება მივიღე, ვეცდები იმედები არ გავუცრუო ჩემს

☞3

ლაშა გოგიაშვილი: „თერჯოლის მერი უნდა იყოს ყველას მერი, არ უნდა იყოს კაბინეტში გამოკეტილი ადამიანი“

2☜

თერჯოლელებს. მე კარგად ვხედავ, რომ ადამიანებს აწუხებთ როცა ოპერატიულად ვერ წყდება ელემენტარული პრობლემა. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ბიუროკრატიული მექანიზმია. ამიტომ პრობლემის გადასაწყვეტად ვმოქმედებთ პირდაპირ, ოპერატიულ რეჟიმში...

ჩვენც გვაქვს თხოვნა მოსახლეობასთან, ახლახან შევცვალეთ განათების ლამპიონები ქალაქში, გამოცვლილები კი სოფლებზე გადავანაწილეთ, არაერთ ინფრასტრუქტურულ პროექტზედაც ვმუშაობთ ინტენსიურად, მაგრამ ამ ცხელ პერიოდში განსაკუთრებულად მწვავე წყლის თემაა.

როგორც რამდენჯერმე დაფიქსირდა, მაგ. სიქთარვაში ზოგიერთ მოსახლეს მთელი დღე მიშვებული აქვს სასმელი წყალი ყანა-ბოსტნებზე. რა წყალსადენი გაუძლებს ამას, შემთხვევები გვაქვს, როცა აზიანებენ მოწყობილობებს. ასეთი ფაქტები დაფიქსირდა ამავე სიქთარვაში, დაფიქსირდა ბარდუბანში. სკვერს ვაკეთებდით და წარმოიდგინეთ—ლირა გატეხეს, საბაღე სკამები დაამტვრიეს, მწყობრიდან გამოიყვანეს ელექტროენერგიის გამანაწილებელი ფარი. ეს უკვე საბოტაჟადაც შეიძლება შეფასდეს. ვანდალიზმი, საბოტაჟი და პლუს კიდევ ერთი, რაც არ შეიძლება რომ არ ვთქვათ—ეს სამოქალაქო ინდიფერენტიზმია. იმ სოფელს არ დავასახელებ, სადაც ღვარსადენის ცხაურებს ვაყენებდით, ტრაქტორს ერთ-ერთი ხის ტოტი უშლიდა ხელს, ჩამოჭრა გახდა საჭირო და თხოვეს იქვე შეკრებილთ. სოფლის წარმომადგენლის ჩარევა გახდა აუცილებელი, რომ ეს ტოტი მოეჭრა იქვე მცხოვრებ ერთ-ერთ მოსახლეს, მაგრამ ეს ვაი-ვაგლახით მოჭრილი ტოტიც არ გასწიეს გვერდზე, იქვე დააგდეს, „ბირჟაობა“ გააგრძელეს და საყვედურიც გამოთქვეს—ხერხი და ნაჯახიც რატომ არ გაქვთ თანო. ადამიანურად დამწყდა გული. დგანან და გიყურებენ. დასანანია ეს ყველაფერი, რაც უკვე არაფერში არ წერია. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. როგორც ჩანს, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო მოსახლეობასთან, რომ მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობა ამაღლდეს, სრულად გეთანხმებით თქვენს იმ მოსაზრებაში, რომ ყველაფერს სახელმწიფო მართლაც ვერ გააკეთებს, როცა სახელმწიფოს მიერ შენი სახლის წინ, შენთვის გაკეთებულ სანიაღვრე არხს ერთხელაც არ გაწმენდ და ამის გაკეთებას მერიას თხოვ—ეს უკვე მეტისმეტია, ეს აღარც თერჯოლელობაა და აღარც ქართველობაა საერთოდ.

თქვენი თერჯოლაში ახალ თანამდებობაზე მოსვლა მსოფლიოს გლობალურ უმძიმეს პრობლემას—კორონავირუსი Covid-19-ით გამოწვეულ ინფექციურ პანდემიას დაემთხვა და ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო რეჟიმის პირობებში მოგიწიათ საქმიანობის დაწყება. საერთო საგანგებო მდგომარეობასთან ერთად მალე კარანტინი გამოცხადდა სოფელ ღვანკითში...

როგორ შეაფასებდით ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალის მუშაობას საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

ჩემი წინა პოზიცია, სადაც ვიყავი, არ იყო იოლი. დიდი პასუხისმგებლობა მქონდა, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა სულ სხვაა, უფრო სხვა, მაღალ ხარისხში აყვანილი. ახალ თანამდებობაზე პირველი ნაბიჯების გადადგმა მძიმე დროს მომიწია, გაიხსენეთ რა ხდებოდა—საგანგებო მდგომარეობა, კარანტინი, გაჩერებული ტრანსპორტი, მრეწველობა, თითქოს ყველაფერი გაიყინა... ამ პერიოდში ცხოვრებისეულ მძიმე გამოცდასაც ვაბარებდით და სტრესშიც ვიყავით. წარმოიდგინეთ, როცა ჩაკეტილი სოფლიდან (მხედველობაშია ღვანკითი—სოფელი კარანტინში) გირეკავს ავადმყოფი შვილის პატრონი ექიმზე და წამალზე, მეურნე კაცი ნამატი პროდუქტის რეალიზაციაში გთხოვს დახმარებას, ადამიანებს საკვები პროდუქტების შეძენა სურთ და სხვა მრავალი.

ვიცი, საერთო შეფასებაა და ამას ღვანკითელებიც ადასტურებენ, რომ მერიამ, მისმა მიზნობრივმა ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის სამსახურებმა და სამედიცინო პერსონალმა მთელ ვერტიკალში, თავდაუზოგავად იმუშავა და კარგად გაართვა თავი ჩვენი ცხოვრების ამ მძიმე გამოცდას, სადაც ერთგვარი წრთობაც კი მივიღეთ.

რა გრძნობით დატოვეთ ძველი სამსახური, რა ახალ პროექტებზე ფიქრობთ...

4 წელი ვმუშაობდი წინა სამსახურში, თავისთავად გულსაწყვეტია, როცა შეჩვეულ კოლექტივს ტოვებ, სადაც ყველა მძიმე და წერტილი იცი. წინა სამსახური სულ სხვა იყო თავისი სპეციფიკით. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე მუდამ გამორჩეული და ყველასათვის საყვარელი შენობაა თავისი 8000-მდე მოსწავლით. საქართველოში, თბილისში არ არსებობს ვინმე ცნობილი და გამორჩეული პიროვნება, რომელსაც რაღაც არ აკავშირებდეს ამ შენობასთან, იქ მომუშავე ადამიანებთან. საოცარი ხელმძღვანელია მისი დირექტორი, ჩემი მეგობარი ქალბატონი თინათინი. იგი არაჩვეულებრივი ადამიანი და პროფესიონალია.

ერთი რაც მაკავებდა იყო ოჯახთან დაცილება, მაგრამ საჭირო იყო და ეს გადაწყვეტილებაც მივიღე. ოჯახურ ამბებსაც დავალაგებთ ნელ-ნელა.

ვფიქრობ ერთ მნიშვნელოვან პროექტზე, რაც დაწყებული მაქვს და არ ვაჟღერებ ჯერჯერობით. ვნახოთ რა გამოვა...

ჩემთვის კულტურა და ხელოვნება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მინდა, რომ თერჯოლა ამ მხრივადაც გამოირჩეოდეს. ბევრ რამეს ვფიქრობ. ამ მხრივ გამორჩეული კოლექტივები გვყავს, რესურსიც დიდია და ამბიციებიც, ფესტივალების ჩატარებასაც შევძლებთ, კონკურსებსაც მოვაწყობთ... ამ საქმეში აქტიურად ჩავრთავთ ფოლკლორის ეროვნულ ცენტრს, სადაც ერთ დროს ვმუშაობდი კიდეც...

ინტერვიუს ეს პირველი ანუ დღევანდელი საგაზეთო ნაწილი, გვინდა იმ სულისკვეთების ხაზგასმით დავამთავროთ, რასაც მუნიციპალიტეტის ახალი აღმასრულებელი ხელმძღვანელი, ჩვენს მიერ დასმულ თითქმის ყოველ კითხვაზე პასუხის გაცემისას, გამოკვეთილად აღნიშნავდა. ეს არის მისი შეუვალი პოზიცია და მოთხოვნა თითოეული საჯარო მოხელისა და თითოეული შემსრულებლისადმი—ვიმუშაოთ გულდურად, შესაძლებლობის მაქსიმუმს ზღვარზე, გავითავისოთ პრობლემები, ყველამ აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, ვიყოთ ხალხთან ერთად...

არ შეიძლება ამ მოთხოვნებში არ დაეთანხმო მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს.

P.S. ბატონ ლაშა გოგიაშვილთან „თერჯოლის“ ინტერვიუს მეორე ნაწილს, ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ. ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური პროგრამები მერიის მუშაობის სწორედ ის უმთავრესი მიმართულებებია, სადაც კარგად ჩანს თუ რა შედეგები მოაქვს ამ მოთხოვნების გათვალისწინებით რეალობაში მუშაობას, ან როდის და სად იკვეთება საქმიანობის სუსტი მხარეები, რომლებიც ახარვეზებენ სასურველ შედეგებს.



რა კეთდება ჩვენს სოფლებში...

ამ რუბრიკით ვიწყებთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან ერთად მომზადებული ინფორმაციების გამოქვეყნებას, რომლებიც ასახავენ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში. მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქრუტული პროექტების განხორციელების მიმდინარეობასა და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით გატარებულ სხვა ღონისძიებებს.

ვთვლი, რომ ასეთი ფორმით მკითხველის ინფორმირება აუცილებელია, როგორც კონკრეტული სოფლის მოსახლეობისათვის, ისე სასოფლო თემებში მერის წარმომადგენლების პასუხისმგებლობის გაძლიერების თვალსაზრისით.

პირველად ვიწყებთ ახალთერჯოლის ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულიდან.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება სოფელ ახალთერჯოლაში 2020 წლის თებერვლის თვიდან ხიდ-ბოგირების მოწყობით დავიწყეთ. ხიდ-ბოგირი მოვაწყვეთ ასლანაძეების უბანში გია სახელაშვილის სახლთან მისასვლელ გზაზე, თერჯოლაში დაპროფილდა 10 კმ.გზა.

ასევე მოვაწყვეთ 5-5 მეტრიანი ორი ხიდ-ბოგირი ნიშნიანიძეების უბანში, სახელაშვილების უბანში ასევე გავაკეთეთ ცხაურები 10 გრძივ მეტრზე სხვადასხვა ჩიხებში, სახელაშვილების უბანში აგრეთვე შევიტანეთ 8 სატვირთო მანქანა ინერტული მასალა. აბჟანდაძეების უბანში დასრულდა მშენებარე ეკლესია, რის შემდეგაც ნარჩენებისაგან გავწმინდეთ მიმდებარე ეზო და გადავეცით შემოსაღობი მავთულბადე 200 გრძივი მეტრი. გავასწორეთ (მოვაპროფილეთ) 200 გრძივ მეტრზე „მეფისწყაროზე“ მისასვლელი გზა.

მეტლახის დასახლებაში გურულების უბანში მოვაწყვეთ ორი ხიდ-ბოგირი 10 გრძივ მეტრზე, ასევე ამ დასახლებაში შევიტანეთ 22 სატვირთო მანქანა ინერტული მასალა.

ცარციძეების, ბუცხრიკიძეების, კვინიხიძეებისა და მუჯირების გზაზე შევიტანეთ 17 სატვირთო მანქანა ინერტული მასალა.

დევიძეების, ცხადაძეებისა და ქაშაკაშვილების უბანში მოვაგრეიდერეთ (დავაპროფილეთ) 2500 გრძივი მეტრი გზა. მთლიანობაში სოფელ ახალთერჯოლაში დაპროფილდა 10 კმ.გზა.

რაც შეეხება სოფლის პროგრამას გამოყოფილი იყო პროგრამით 30 000 ლარი, ახალთერჯოლა 20 000 ლ. და ბოსელა 10 000 ლ. სოფელ ბოსელაში სხვადასხვა უბნებში მოვაწყვეთ ცხაური 26 გრძივ მეტრზე,. სოფელ ახალთერჯოლაში, მეტლახის დასახლებაში მოვაწყვეთ 14 გრძივი მეტრი ცხაური და სოფლის ცენტრში 6 გრძივი მეტრი. ასევე სოფლის პროგრამით გურულების უბანში გავაკეთეთ გზა ბეტონის საფარით 60 გრძივ მეტრზე. სოფლის ცენტრში, ასევე სოფლის პროგრამით, ეწყობა გარე განათება 18 ერთეული ბოძით, რაც შეეხება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილ თანხას, ამ თანხით სოფლის ცენტრიდან მუჯირების უბნამდე მოეწყო გზის საფარი ბეტონით 700 გრძივ მეტრზე. პროექტის ღირებულება შეადგენს 132.686 ლარს, მერიის თანადგომით გამეზარდაშვილების უბანში მოვაწყვეთ სანიაღვრე არხი 30 გრძივ მტრზე, შევიტანეთ 2 სატვირთო მანქანა ინერტული მასალა.

120 ოჯახს დავეხმარეთ სააღდგომოდ სურსათით (60 ლარიანი პაკეტით). ჩვენი სოფლის მკვიდრის ვალერი ბუცხრიკიძის და მერიის თანადგომით

ერთჯერად 115 ოჯახს დავეხმარეთ ფინანსურად.

მთლიანობაში, 2020 წლიდან დღეის მდგომარეობით სოფელ ახალთერჯოლას მოხმარდა ინფრასტრუქტურული პროექტების სახით 194.686 ლარი.

ამჟამად სოფლის წინაშე მწვავედ დგას სასმელი წყლის პრობლემა, რასაც იმედია ხელისუფლება მომავალში გადაგვიწყვიტავს.

ბესო ცხადაძე,
მერის წარმომადგენელი ახალთერჯოლის
ადმინისტრაციულ ერთეულში

უკმაყოფილება თუ საბოტაჟი

სიქთარვის მოსახლეობას ათეულობით წლები არ ჰქონდა სასმელი წყალი. ხალხი უკმაყოფილო იყო, თუნდაც იმიტომ, რომ სოფლის ტერიტორიაზე არსებული წყალსადენიდან წყალი მთელ რაიონს მიეწოდებოდა და ჩხარიეწერში წყლის სათავე-ნაგებობაც იყო, ოღონდ ძველი, კომუნისტების დროინდელი და შესაკეთებელი. ეს ორი ფაქტორი ცხადია, საკმარისი ვერ იქნებოდა საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო, მაგრამ მაინც დადგა დრო და სიქთარვის წყალსადებზე 2018 წელს სამუშაოები დაიწყო.

დღეს სიქთარვაში თითქმის ყველა, 730 ოჯახს წყალი მიეწოდება და გამრიცხველიანებულია, მოსახლეობა ჯერ თანხას არ იხდის, მაგრამ მიმდინარეობს გადაბარების პროცესი და წყალის სისტემა მალე გადაეცემა წყალმომარაგების კომპანიას. გახარჯულ ელექტროენერგიას მერია იხდის და, როგორც ამბობენ, აქამდე მოხმარებული წყალის ღირებულება მოსახლეობისათვის ე.წ. „საჩუქარი“ იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წყალი, ეს უმნიშვნელოვანესი რესურსი, დაუზოგავად ვხარჯოთ. ვფიქრობთ, იმის შეხსენება საჭირო არ არის, რომ ეს წყალი სასმელია და არა სამელიორაციო. არავინ გვიშლის მის მოხმარებას აუცილებელი საჭიროებისათვის, მაგრამ დღე-ღამის განმავლობაში ყანებსა და ვენახებში მისი გაშვება, რბილად რომ ვთქვათ, ერთმანეთზე ზრუნვის მაგალითად ვერ ჩაითვლება. სწორი არ არის, როცა დღე-ღამის განმავლობაში ერთი ოჯახი ათეულობით ტონა წყალს მოიხმარს, მეორე კი, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, გრაფიკის იმედზეა... სიქთარვის წყალმომარაგების საკითხებში მუნიციპალიტეტის მერიის კოორდინატორ-მარეგულირებლის დავით ქოჩიაშვილის თქმით, სწორედ ეს არაყაირათიანი ხარჯვა გახდა წყლის გრაფიკის მიხედვით მიწოდების მიზეზი. მისივე თქმით ხარჯი მაღალია, წყლის მიწოდება ხდება ყოველ მეორე დღეს, ზოგჯერ ყოველ დღე უბნების მიხედვით. უკმაყოფილების საფუძველი არ არის, მაგრამ მაინც იყო მთავარ მაგისტრალზე ჩამკეტი ურდულის დაზიანების შემთხვევა. ჩამკეტი ხელს უწყობდა წყლის თანაბარ მიწოდებას უბნებში. რადგან მოსახლეობა კმაყოფილია, არც ვინმეს „გაბრაზების“ საფუძველი არსებობს, ეს ფაქტი საბოტაჟს უფრო ჰგავს, ვიღაცას უნდა მოსახლეობაში უკმაყოფილება ხელოვნურად გამოიწვიოს. არის ფაქტები, როცა ირწყვება ჰექტრობით ვენახი და ყანა, რაც წყლის არაგეგმაზომიერი ხარჯია და შესაბამისად ერთმანეთთან დაპირისპირების მიზეზი, ეს კი ჩრდილს აყენებს ხელისუფლების მიერ ხალხზე ზრუნვის ამ კარგ საქმეს.

* * *

დიახ, მოსხლეობა კმაყოფილია, რადგან სოფელი სასმელი წყლით უზრუნველყოფილია. კმაყოფილია იმითაც, რომ დავით ქოჩიაშვილი კარგად მუშაობს, რომ იგი არის საქმის მცოდნე, ყურადღებიანი, კეთილსინდისიერი მუშაკი, ცდილობს არსებული დაზიანებების დროულ მოგვარებას, დღე-ღამის ნებისმიერ დრის ხალხის სამსახურშია. დავითი კი მადლობელია სოფლის, მერისა და საკრებულოს ხელმძღვანელების, ყველა უწყების, რომელთაც წყალმომარაგების საკითხებთან რაიმე შეხება აქვს.

წყლის ხარჯვაზე არც ლიმიტია და არც აკრძალვა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ სასმელი წყალი სამელიორაცო წყლისაგან არ გავარჩიოთ, ნუ დაგვავიწყდება როგორ ვეზიდებოდით სასმელ წყალს ბოჭკა-ბალონებით, უკაცრავად და „ნარეცხსაც“ არ ვაქცევდით.

ჟუჟუნა ცხადაძე

წყალი, ჩვენი სასიცოცხლო ელექსირი

ამ სათაურით 2017 წლის 15 აგვისტოს გაზეთ „თერჯოლის“ მე-16 ნომერში პრობლემურ საკითხებს შევეხეთ. მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის, წყლის, როგორც სამელიორაციო რესურსის გამოყენების თაობაზე.

სასმელი წყალი

მაშინ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ მანუჩარ რობაქიძემ-ჩვენთან საუბარში თქვა: „დღეისათვის სულ, ჯამურად გვაქვს 107 კილომეტრიანი ქსელი 12-ზე მეტი რეზერვუარით, ვემსახურებით 1740 ოჯახს. აქედან 810 გამრიცხველიანებულია. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდება სოფელ სიქთარვაში, სადაც ადრე, ქ. თერჯოლის პარალელურად, მოწყობილი იყო წყალმომარაგების ადგილობრივი სისტემა. წყალმომარაგების სისტემა მოეწყობა სოფელ ბარდუბანში; მოწესრიგდება წყალმომარაგების შიდა ქსელი ზედა სიმონეთში; შეძენილი გვაქვს 19000 გრძივ მეტრამდე სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის მილები, რომლებითაც რაიონის 11 სოფელში მოსახლეობას აქტიური ჩართულობით მოეწყობა სხვადასხვა მოცულობის წყალსადენი, შესრულდება 10 000 მეტრამდე მიწის სამუშაოები. მალე გვექნება გამრიცხველიანება და შესაბამისად დადგენილი გრაფიკით წყლის გადასახადის ამოღება აუცილებელი შესასრულებელი ამოცანაა.

* * *

იმავე გაზეთში ასევე ფართოდ იყო განხილული თემა „წყალი, როგორც სამელიორაციო რესურსი“, მაშინ სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა გურამ გურჯიძემ, საქართველოს მელიორაციის ყვირილა-ცხენისწყლის სერვისცენტრის თერჯოლის უბნის უფროსმა ბადრი არაბიძემ და გაზეთ „თერჯოლის“ რედაქტორმა დავით კლდიაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის თითქმის მთელი სამელიორაციო სისტემის მდგომარეობა შეისწავლეს.

სამი წლის წინანდელი სურათი

„აჯამეთის მთავარი მაგისტრალური არხი, რომელიც წლებია კეთდებოდა, ექსპლოატაციაში შევიდა. მისი სიგრძე 30 კილომეტრია, გამტარიანობა 4 კუბი წამში, არხი 7 მილიონი ლარი დაჯდა. თერჯოლის მიწებისათვის წყლის გამანაწილებელი არხი 9 კილომეტრია, მაგრამ შიგა ქსელებია მოუწესრიგებელი, რის გამოც მოსახლეობა დიდ ინიციატივას არ იჩენს მელიორაციის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმებისათვის, აჯამეთში, სადაც 800 ჰექტარი უნდა ირწყვებოდეს, მხოლოდ 50 ჰექტარი ირწყვება, რეგისტრირებული მომხმარებელი კი მხოლოდ 25-ია.

ანალოგიური მდგომარეობაა სიქთარვასა და ეწერში. შიგა ქსელი და მაგისტრალი მოუწესრიგებელია, სიმინდის ყანას ერთ მხარეს მდინარე ჩაუდის, მეორე მხარეს კი სარწყავი არხი, ყანა კი გამხმარია... მოსახლეობამ მისი აჭრა დაიწყო“...

* * *

აჯამეთისა და სიქთარვა-ეწრის სამელიორაციო სისტემის ამ დათვალიერებით უფრო ნათელი გახდა ის ნაკლოვანებებები, რაც სამელიორაციო და შიგა ქსელების მოუწესრიგებლობით იყო გამოწვეული. მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის მაშინდელმა შემსრულებელმა თემურ ქოჩიაშვილმა გაზეთში დასმული პრობლემების გადასაწყვეტად დახმარება სთხოვა საქართველოს მელიორაციის ყვირილა-ცხენისწყლის სერვისცენტრის ხელმძღვანელს ბატონ როლანდ მუშკუდიანს. იგი სიქთარვა-ეწრის სარწყავი სამელიორაციო ქსელის შეკეთებაში დახმარებას დაგვპირდა.

ჩვენ მოვიკითხეთ დანაპირები... და შევხვდით ყვირილა-ცხენისწყლის ცენტრის თერჯოლის უბის უფროსს, ბატონ ბადრი არაბიძეს, აჯამეთის, ეწრის, სიქთარვის სარწყავი სისტემებში მდგომარეობა ასეთია: აჯამეთის არხი ემსახურება 750 ჰექტარს, ეწრის არხი 471 ჰექტარს, სიქთარვის არხი 79 ჰექტარს. სამივე სარწყავი სისტემა ნორმალურ მდგომარეობაშია. ორი წლის მანძილზე არსებულ სისტემებზე მოეწყო შვიდი მილხიდი, ექვსი ცალი წყალგამშვი ფარი, კაპიტალურად შეკეთდა ორი აკვედუკი (არხის ქვეშ გამავალი ღელეზე—ბეტონი). ნატანისაგან გაიწმინდა ეწრის მაგისტრალური არხის სათავე ნაგებობა, გაწმენდილია 10 კილომეტრამდე სარწყავი არხები და შიგა ქსელები. სარწყავი სისტემები 1000 მესაკუთრეს ემსახურება.

წელს მოირწყა ყველა დამუშავებული,მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი. 2020 წელს მიწის მესაკუთრეები და ფერმერები მთლიანად გათავისუფლდნენ სარწყავი წყლის გადასახადისგან, მოეხსნათ წინა წლების დავალიანებები, არც მომავალი წლების გადასახადი იქნება წელში გამწვეტი.

წყლის, სოფლის მეურნეობისათვის, აუცილებლი მნიშვნელობის მქონეს, ფასი მიზერულია. 1000 მეტრის მორწვა 4,5 ლარი ჯდება და წლის განმავლობაში იმდენჯერ მოირწყვება, რამდენჯერაც საჭიროა. წელს მორწყულია 60 ჰექტარი საძოვარი ეწერში, ყანის ფართობი 100 ჰექტარი, ყველა ფართობი, რაც მდებარეობს არხის სიახლოვეს.

ჟუჟუნა ცხადაძე

P.S. ამ დღეებში ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს მელიორაციის ყვირილა-ცხენისწყლის სერვისცენტრის ხელმძღვანელს ბატონ როლანდ მუშკუდიანს და მადლობაც გადავუხადეთ დანაპირების შესრულებისათვის. საუბარში სამომავლო გეგმებსაც შევეხეთ. მან თანადგომა აღგვითქვა, რომ თავის მხრივ ყველაფერს იღონებს, თუკი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, საქართველოს მელიორაციის ხელმძღვანელობას თხოვს სამოქმედო პროგრამაში შეიტანოს სიქთარვა-ეწრის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, რომელიც უნიკალური ქსელია და რეაბილიტაციის შემდეგ ერთ-ერთი გამორჩეული ჰიდრონაგებობაიქნება მთელს ქვეყანაში.

პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი №49 თერჯოლის საარჩევნო უბნის საზღვრები

№21.49. 01 თერჯოლის საარჩევნო უბანი

საზღვრები: ქალაქი თერჯოლა. ანდრია ჭანტურიძის ქუჩა 1, 2, 3, 5, 7. ვანო ხუხუნაიშვილის ქუჩა (ყოფილი ნ. ბარათაშვილის ქუჩა) 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9. გრიგოლ რობაქიძის ქუჩა1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 11,12, 14,15,16, 18, 20, 22, 24, 26, 28, 30,39,53,65.თამარ მეფის ქუჩა (ყოფ. ლენინის) 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13,14 15, 17, 19, 21, 23,2425, 27, 29, 30, 31, 33, 35, 37, 39, 41, 43. მ. კოსტავას ქუჩა (ყოფილი გიორგაძისქუჩა) 1, 2, 3, 5. დ. კლდიაშვილის ქუჩა 1, 2, 3,3ᵃ, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 16, 18,20,95. გ. ლეონიძის ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6,8,10,19. შოთა რუსთაველის ქუჩა 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 122. გ. ტაბიძის ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41,42,43, 45, 47, 49,51,52, 81. ტრისტან სოფრომაძის ქუჩა (ყოფილი ჩუბინიძის) 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 15, 17,19,37. შოთაძის ქუჩა 1, 2, 3, 4, 6, 8. ი. ჭავჭავაძის ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, 24,44.

№21.49. 02 თერჯოლის საარჩევნო უბანი

საზღვრები: ქალაქი თერჯოლა. შოთა რუსთაველის ქუჩა 121, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 132ა, 132ბ, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 169, 170, 172, 173, 174,176,178,182,184,188, 192,210. შოთა რუსთაველის ქუჩის მე-2 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11,12,13, 14, 16, 18, 20, 20ᵃ, 22, 24,26,31. შოთა რუსთაველის ქუჩის მე-3 შესახვევი 1, 2, 3,4 5,6, 7,10. შოთა რუსთაველის ქუჩის მე-4 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9. შოთა რუსთაველის ქუჩის მე-5 შესახვევი 2, 4, 6, 8, 10, 12, 14. შოთა რუსთაველის ქუჩის მე-7 შესახვევი 2. შოთა რუსთაველის ქუჩის მე-5 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10. რუსთაველის (შოთა რუსთაველის) ქუჩის მე-6 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12. შოთა რუსთაველის ქუჩის მე-7 ჩიხი1, 3. პუშკინის ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 30, 32, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 42, 44, 46, 47, 48, 50, 51, 52, 53, 54, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 64, 70, 75, 76, 113. აღ.პუშკინის შეს 5. აღ. პუშკინის I შესახვევი 1,5. პუშკინის ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7,8, 10, 12, 14. აღ.პუშკინის II ჩიხი 6. სულხან-საბას ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 41, 42, 44. სულხან- საბას ქუჩის პირველი შესახვევი 1, 2, 4, 6. სულხან-საბას მე-2 შესახვევი 5. სულხან-საბას მე-3 შესახვევი 5. სულხან-საბას პირველი ჩიხი 2. 9 აპრილის ქუჩა (ყოფ. მოსკოვის) 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 44, 45, 46, 48, 49,50,51, 52, 54, 63, 132. მაცაბერიძის ქუჩა 3,4. 9 აპრილის ქუჩის (ყოფ. მოსკოვის პირველი შესახვევი) პირველი შესახვევი 1, 2, 3,4, 6, 8, 10, 12. 9 აპრილის ქუჩის (ყოფ. მოსკოვის პირველიჩიხი) პირველი ჩიხი1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8. 9 აპრილის ქუჩის (ყოფ. მოსკოვის მეორე ჩიხი) მეორე ჩიხი 2. დ. ჯაბიძის ქუჩა1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 13ᵃ,14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74,75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 84, 86, 88, 90, 92, 94, 96, 98, 99,100, 102, 104, 106, 108, 109, 110,121,134, 200. ჯაბიძის (დ.ჯაბიძის) ქუჩის პირველი შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 53. დ. ჯაბიძის ქუჩის მე-2 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 41, 43, 45, 47, 49, 51, 53,54,149. ჯაბიძის (დ.ჯაბიძის) ქუჩის მე-3 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 14, 16, 18, 20,25. დ. ჯაბიძის ქუჩის მე-4 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12. ჯაბიძის (დ.ჯაბიძის) ქუჩის მე-5 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11. დ. ჯაბიძის ქუჩის მე-6 შესახვევი 1, 2, 3, 5. ჯაბიძის (დ.ჯაბიძის) ქუჩის მე-8 შესახვევი 4. დ. ჯაბიძის ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 4, 6, 8, 10. დ. ჯაბიძის ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4,5. დ. ჯაბიძის ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5. დ. ჯაბიძის ქუჩის მე-4 ჩიხი 1, 2, 3, 4, 6, 8,9. დ. ჯაბიძის ქუჩის მე-5 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 15. აკ. წერეთლის ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. აკ. წერეთლის ქუჩის პირველი შესახვევი 1, 2, 4, 6, 8, 10, 12.

№21.49. 03 თერჯოლის საარჩევნო უბანი

საზღვრები: ქალაქი თერჯოლა. ვაჟა-ფშაველას ქუჩა1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57,58, 59, 60,61, 62,63,64, 65, 67, 69, 71, 72,73, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 89, 91, 93, 94, 95, 97, 98, 99, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 110, 111, 112, 124, 128, 130, 131, 132, 144, 148, 154, 168, 178, 182, 186, 208, 231. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-3 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55,72,76. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-4 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10,11, 12, 14, 16, 18, 20, 22, 26, 28, 36, 38, 81, 208. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-5 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 16. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-6 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 16, 18, 20, 22, 24, 26, 28. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-7 შესახვევი1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 27, 29,31,36. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-8 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 13, 15, 17, 19, 21, 23, 25, 29. ვაჟა-ფშაველას ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3, 5, 7, 9,26. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 12, 14, 16,30. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-3 ჩიხი 13,18. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-4 ჩიხი, 22,55. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-5 ჩიხი 1. თბილისის ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 11,12. ოთხი ძმის ქუჩა1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 15ᵃ, 16, 16ᵃ, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 52, 55, 66, 72, 114, 118. ოთხი ძმის ქუჩის პირველი შესახვევი1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15,15ᵃ, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 74, 76, 78. ოთხი ძმის ქუჩის მეორე შესახვევი 1,23. ოთხი ძმის ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 11, 13. ოთხი ძმის ქუჩის მეორე ჩიხი 35. ნ. ბარათაშვილის ქუჩა (ყოფილი ეგ. ნინოშვილის ქ.)1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 30, 32, 33, 34, 36, 37, 38, 39, 40, 42,43, 44, 45, 46, 48, 49, 50, 52, 54, 55, 56, 58, 60, 61, 62, 63, 64, 66, 68, 70, 72,92. როინ რობაქიძის ქუჩა (ყოფილი ვაჟა-ფშაველას მე-2 შესახვევი) 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 49, 50, 51, 53, 55, 57, 59, 61, 63, 65, 67, 69, 71, 73, 75, 77, 79, 80, 81, 83. ვარლამ მაკარიძის ქუჩა (ყოფილი ვაჟა-ფშაველას ქუჩის პირველი შესახვევი) 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28,29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 59.

№21.49. 04 ზედა ალისუბნის საარჩევნო უბანი

საზღვრები: სოფელი ალისუბანი; მე-5 ქუჩა 10, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19. მე-9 ქუჩა 60, 62, 64, 66, 68, 70, 83, 85, 87, 89, 91. მე-9 ქუჩის პირველი შესახვევი1, 2, 3, 4, 6, 8, 10. მე-9 ქუჩის მე-7 ჩიხი 2, 4, 6. მე-10 ქუჩა1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 36, 38, 40, 42, 44, 46, 48. მე-10 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 4, 6, 8. მე-10 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3. მე-10 ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6, 8. მე-10 ქუჩის მე-4 ჩიხი 1, 2, 3, 5, 7, 9, 11. მე-10 ქუჩის მე-5 ჩიხი 1, 2, 4. მე-10 ქუჩის მე-6 ჩიხი 1, 3, 5. მე-10 ქუჩის მე-7 ჩიხი 1, 2, 4. მე-11 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 18, 20. მე-12 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 15, 17, 19, 21, 23, 25. მე-12 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. მე-13 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 20ᵃ, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 29, 31, 33, 35, 37. მე-14 ქუჩა 2, 10. მე-14 ქუჩის მესამე ჩიხი 2, 4, 6. მე-15 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37. მე-15 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4, 6. მე-15 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5. მე-16 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8. მე-16 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 4. მე-17 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 31, 33, 35. მე-17 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3, 5. მე-17 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3. მე-17 ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 2, 3, 5. მე-18 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10. მე-19 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 22. მე-19 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4, 6. მე-20 ქუჩა 2, 4, 6, 8, 10, 12, 14. 21-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 16. 21-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. 22-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 15, 17, 19. 22-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 5, 7. 23-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 24, 26. 25-ე ქუჩა 20, 23, 25, 27. 25-ე ქუჩის მე-2 შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 7, 9. 26-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12. 27-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 13. 27-ე ქუჩის პირველი ჩიხი 2, 4. 27-ე ქუჩის მე-2 ჩიხი 2, 4, 6. 28-ე ქუჩა1, 2, 3, 5, 7, 9, 11, 13, 15, 17, 19, 21. მე-40 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23. 41-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10. 42-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 10, 12. 44-ე ქუჩა 2, 4, 6, 8, 10. 45-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5. 45-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. 46-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9. 47-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 12. 47-ე ქუჩის პირველი ჩიხი 2, 4, 6.

№21.49. 05 ქვედა ალისუბნის საარჩევნო უბანი

საზღვრები: სოფელი ალისუბანი პირველი ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 30, 32, 34. პრიველი ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 5. მე-2 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 11, 13. მე-2 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3, 5, 7. მე-3ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 15, 17, 19, 21. მე-3 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10. მე-4 ქუჩა 1, 2, 3, 5, 7, 9, 11, 13, 15, 17, 19. მე-4 ქუჩის პირველი ჩიხი 2, 4, 6. მე-5 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11. მე-5 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 4, 6, 8. მე-6 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11. მე-6 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3. მე-6 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4. მე-7 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10. მე-7 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3. მე-7 ქუჩის მე-2 ჩიხი 2, 4, 6, 8, 10. მე-8ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, 19, 21, 23, 25, 27, 29, 31, 33. მე-8 ქუჩის პირველი შესახვევი 1, 2, 3, 5. მე-9 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 61, 63, 65, 67, 69, 71, 73, 75, 77, 79, 81. მე-9 ქუჩის პირველი ჩიხი 2, 4, 6, 8, 10. მე-9 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4, 6. მე-9 ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9. მე-9 ქუჩის მე-4 ჩიხი 1, 2. მე-9 ქუჩის მე-5 ჩიხი 1, 2, 4. მე-9 ქუჩის მე-6 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5. 24-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 13, 15, 17, 19. 25-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 21. 25-ე ქუჩის პირველი შესახვევი 1, 2, 3, 4, 5, 7. 25-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. 29-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14. 30-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 16, 18, 20, 22. 30-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 5. 30-ე ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6. 30-ე ქუჩის მე-3 ჩიხი 2, 4, 6. 31-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 16, 18. 32-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, 19, 21. 33-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 11, 13, 15, 17, 19, 21. 33-ე ქუჩის პირველი შესახვევი 2, 4. 33-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 4. 33-ე ქუჩის მე-2 ჩიხი 2, 4, 6. 33-ე ქუჩის მე-3 ჩიხი 2, 4, 6, 8. 33-ე ქუჩის მე-4 ჩიხი 2, 4. 34-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 10, 12. 34-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3, 5, 7. 35-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 15. 35-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 4. 36-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 14, 16, 18. 37-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 16, 18, 20. 37-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3, 5, 7. 38-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 14, 16, 18, 20. 38-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3. 39-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18. 43-ე ქუჩა 1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 12.

№21.49. 06 ახალთერჯოლის საარჩევნო უბანი

საზღვრები: სოფელი ახალთერჯოლა

№21.49. 07 ბარდუბნის საარჩევნო უბანი

საზღვრები: სოფელი სათემო 1-ლი ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 10. 1-ლი ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. 1-ლი ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 4, 6, 8, 10. 1-ლი ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 11. მე-2 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 14, 16, 18. მე-2 ქუჩის პირველი შესახვევი. მე-3 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 13, 15, 17, 19, 21, 23, 25, 27, 29, 31, 33, 35, 37, 39, 41. მე-3 ქუჩის პირველი შესახვევი. მე-3 ქუჩის მე-2 შესახვევი. მე-3 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3. მე-4 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 30. მე-4 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-4 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2. მე-5 ქუჩა 1, 2, 3, 4, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, 24, 26. მე-5 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 4, 6. მე-6 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 16, 18, 20. მე-6 ქუჩის პირველი შესახვევი 1, 2, 3, 4, 6. მე-6 ქუჩის პირველი ჩიხი 1. მე-6 ქუჩის მე -2 ჩიხი 1, 3. მე-6 ქუჩის მე-3 ჩიხი 2, 4. მე-7 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33,34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 42, 44, 46, 48, 50, 52, 54, 56, 58, 60,62. მე-7 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3, 5, 7, 9. მე-7 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4. მე-7 ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 2, 3, 4. მე-8 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 15, 17, 19, 21. მე-8 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 3. მე-8ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 3. სოფელი ბარდუბანი. მე-2 ქუჩის მე-3 ჩიხი N1. მე-5 ქუჩა N32. მე-6ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 30, 32, 34, 36, 38, 40, 42, 44, 46, 48, 50, 52, 54, 56, 58, 60, 62, 64, 66, 68, 70, 72, 74, 76, 78, 80. მე-6 ქუჩის პირველი ჩიხი 2, 4. მე-6 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 4. მე-6 ქუჩის მე-3 ჩიხი 1. მე-6 ქუჩის მე-4 ჩიხი 1, 3, 5, 7. მე-6 ქუჩის მე-5 ჩიხი 1, 2. მე-8 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 13, 15, 17, 19, 21, 23, 25, 27, 29, 31, 33, 35, 37. მე-8 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2, 4. მე-8 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 3, 4, 6. მე-9 ქუჩა1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14,15, 17, 19, 21, 23, 25, 27, 29, 31, 33, 35. მე-9 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2. მე-9 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 3. მე-9 ქუჩის პირველი შესახვევი 1, 3. მე-10 ქუჩა1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 24, 26, 28, 30, 32, 34, 36, 38, 40. მე-10 ქუჩის პირველი ჩიხი 1, 3. მე-10 ქუჩის მე-2 ჩიხი 1, 2, 4. მე-10 ქუჩის მე-3 ჩიხი 1, 2, 3, 4. მე-11 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 15. მე-12 ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 10. მე-40 ქუჩა 6, 7,9, 11, 13. 41-ე ქუჩა 9, 12, 14, 16, 18. 41-ე ქუჩის პირველი ჩიხი 1, 2.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სტაბილური წყალმომარაგებით პირველად ისარგებლებენ

მალე, ქალაქ თერჯოლაში მცხოვრები 500-მდე ადამიანი სტაბილური წყალმომარაგებით პირველად ისარგებლებს.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ თერჯოლაში, კერძოდ ჯაბიძის ქუჩაზე მოსახლეობის სტაბილური წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად გამრიცხველიანების სამუშაოები დაიწყო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივებთან შესახვედრად წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი **გიგა მანდარია** ჩავიდა.

მოსახლეობასთან შეთანხმების საფუძველზე კომპანია სამუშაოებს უახლოეს დღეებში დაიწყებს და მიმდინარე თვის ბოლოს დაასრულებს. ჯაბიძის ქუჩის მაცხოვრებლებს ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემა არასდროს ჰქონიათ და დღემდე, ეზოებში მოწყობილი ჭებით სარგებლობენ.

„აღნიშნული ქუჩის მოსახლეობას უკვე ათეული წლებია აქვს წყალმომარაგების პრობლემა. დღეს, ჩამოვედით იმისათვის, რომ აგვეხსნა წყლის მიწოდების გაუმჯობესებისთვის გამრიცხველიანების აუცილებლობა. მათ გამოთქვეს სურვილი დავიწყოთ შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ქსელის მოწყობა დასრულებულია. ამ კვირაში, ჩვენი სამსახურები მრიცხველების კვანძების მოწყობას დაიწყებენ, რაც დღეს არსებულ პრობლემებს სრულად აღმოფხვრის და მოსახლეობას სტაბილური წყლის მიწოდებით უზრუნველყოფს“—განაცხადა გიგა მანდარიამ.

პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარულთათვის...

თერჯოლაში სიახლეთა ნუსხას კიდევ ერთი შეემატა: მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონ ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით ქალაქის ცენტრში, ახალგაზრდულ სკვერში, თვალსაჩინო ადგილზე, ბინა დაიდო პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარულთა კუთხემ.

24 ივლისს 18 საათზე სკვერში პირველი სახელდახელო შეკრება—ღონისძიება უკვე გაიმართა, რომელსაც მერის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ლაშა გოგიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ჯანელიძე დაესწრნენ, საკრებულოსა და მერიის სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად. მათ დაათვალიერეს პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარულთა კუთხე და შეკრებილ საზოგადოებას, წარმომადგენლებს მიულოცეს აღნიშნული შენაძენი.

„საბედნიეროდ, თერჯოლაში მრავლად არიან ხელოვნებისა და კულტურის მოყვარულები. აქ ყველას შეეძლება საყვარელი ლექსი თუ საკუთარი შემოქმედება გააცნოს თანამოაზრეებს. სკვერი დასრულებულ სახეს უახლოეს მომავალში მიიღებს. დამონტაჟდება დიდი მონიტორი, დაიდგმება ძელსკამები. ვიმედოვნებთ, რომ სკვერი საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდება და დროის საინტერესოდ გატარებაში დაეხმარება მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.



შემდეგ იყო ლამაზად წაკითხული ლექსები. სტუდენტმა ნინი მეფარიძემ და მოსწავლემ ლია ლორთქიფანიძემ შეკრებილთა აპლოდისმენტები დაიმსახურეს. იყო აგრეთვე „მრავალჟამიერი“, რისთვისაც აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს ვაჟთა ვოკალური ჯგუფი „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე).

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ბატონი გურამ თურქაძე უძღვებოდა, რომელიც ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ ცენტრთან ერთად მონაწილეობდა სკვერის მოწყობით სამუშაოებში. პოეზიის სიმბოლო „ლირა“ კი სკვერისათვის მერიას თერჯოლის მკვიდრმა ტარიელ ბოჭორიშვილმა საჩუქრად გადასცა.

როგორც აღინიშნა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიებები, რომელიც მთავრობის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დაცვით, ღია სივრცეში ჩატარდება.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები ულოცავენ ამავე რედაქციის თანამშრომელს **დარეჯან რობაქიძეს** შვილიშვილის **ტარიელ ზარნაძის** დაბადებას, სასახელო ქართველი გაზრდილიყოს, რუსთველის ტარიელივით ვაჟკაცი და ზნეკეთილი.

ბავშვები ფიქრობენ, განიცდიან, ოცნებობენ და... პოზიტივით გვავსებენ

მზია ცქიფურიშვილი

გაიცანით:

ისინი მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის აღსაზრდელები არიან. როცა პანდემიამ მსოფლიო მოიცვა და ჩვენს ულამაზეს საქართველოშიც შემოაღწია, იძულებულნი გახდნენ ასეულ ათასობით თავიანთი თანატოლების მსგავსად, „შინ დარჩენილებს“, სწავლა-აღზრდის ტრადიციულ მეთოდებზე „უარი ეთქვათ“ და დისტანციურად ჩართულიყვნენ კლუბის მიერ დაგეგმილ აქტივობებში...

თუ როგორ მოახერხეს ეს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით თავად გაეცანით, მათ ფოტოებთან ერთად გთავაზობთ ამონარიდებს მათი გზავნილებიდან, ვფიქრობთ სევდით მოცულ ყოველდღიურობას, რომელიც ახალგაზრდების ტრაგედიებითაა განპირობებული, რამდენადმე გაგილამაზებთ და იმედიანადაც განგაწყობთ... თუმცა, მათი ფიქრები, ოცნებები და სურვილები რამდენად ყურადსაღები და რიგ შემთხვევაში გასათვალისწინებელია უფროსებისაგან თავად განსაჯეთ...

ნინი ბუცხრიკიძე, 11 წლის: „მინდა მეგობრებთან ხელჩაკიდებულმა ვიარო, ასე უფრო ადვილად ვცვლით სითბოს და სიყვარულს“.

ეკა ნიკოლაძე, 16 წლის: „მინდა ყველა ბავშვის უფლება დაცული იყოს მთელ მსოფლიოში“.



ბარბარე ფანჩულიძე, 11 წლის: „გიგზავნით სითბოს, სიყვარულს, ღიმილს, ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი“.

☞8

ჩვენმა მეხანძრეებმა კვლავ ისახელეს თავი და ჩვენც გვასახელეს

მათ სიმამაცეზე, პროფესიონალიზმზე და მინდობილი საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებაზე ბევრჯერ დაგვიწერია და კვლავაც დავწერთ. ადამიანები მადლობას უხდიან მათ განსაცდელის ჟამს გამოჩენილი თანადგომისათვის... ისინი ხშირად სიცოცხლის რისკზეც კი მიდიან, ოღონდაც ხიფათში მყოფთ მიეშველონ, გაავებულ სტიქიას წინ აღუდგნენ.

მათ თავი არაერთგზის გამოიჩინეს არა მხოლოდ თერჯოლის, არამედ სხვა, მიმდებარე და შორეულ რაიონებშიც გაჩენილი ხანძრების ლიკვიდაციისას. მადლობებიც დაიმსახურეს, წამახალისებელი ჯილდოებიც. ალალია მათზე ეს ყველაფერი.

სამსახურში, რომელსაც ბატონი კახა ვარდოსანიძე ხელმძღვანელობს ოცდაორი თანამშრომელია გაერთიანებული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ისინი თავისი საქმის სპეციალისტები არიან (ჯგუფში, რომელშიც შედიოდნენ: ლევან გავაშელაშვილი, ლევან გეწაძე, კოტე არეშიძე, კახა ვარდოსანიძე) თავიანთი შესაძლებლობები ახლახან კიდევ ერთხელ გამოავლინეს სვანეთში, კერძოდ, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში, სადაც ორი დღის—24 საათიანი მუშაობის რეჟიმში ტყის ხანძრის „თავნებობა“ ალაგმეს და იქაურ მცხოვრებთა და სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენელთა მადლობებიც დაიმსახურეს.

მკითხველმა ალბათ არ იცის, რომ მეხანძრეები, რომლებზეც ახლა ვწერთ და მათი მეგობრები საკურორტო სეზონის პერიოდში შავიზღვისპირა კურორტებზეც არიან დრო და დრო მივლინებულნი, სულ ბოლო ხანს როგორც მაშველები. მათგან კობა ჩხარტიშვილმა, კობა რობაქიძემ, ლევან გეწაძემ სხვადასხვა დროს აშკარა დაღუპვას სამი ადამიანი გადაარჩინეს, ხოლო სულ, ჩვენი ბიჭების ანგარიშზე 13 დახრჩობას გადარჩენილი ადამიანი ყოფილა.

შთამბეჭდავია ეს ყველაფერი.

გმადლობთ მამაცო კაცებო, თქვენი იმედი მუ მოგვიშალოს!

და ბოლოს, როგორც ყოველთვის ახლაც მოვუწოდებთ მოსახლეობას—იყავით ფხიზლად!

გახსოვდეთ: ეშმაკს არ ძინავს!

ნ. იმერლიშვილი

რედაქციისაგან: მასალა უკვე ჩაშვებული იყო სტამბაში დასაბეჭდად, რომ ჩვენი მაშველები კვლავ გაეშურნენ სვანეთში ტყის ხანძრის ახალი კერების ჩასაქრობად.

მცირე პასაჟი—გაწვიმდა ბოლოს და ბოლოს...

ადამიანებმა ერთბაშად დაივიწყეს ამინდის ხანგრძლივი ჭირვეულობა. ცას მადლიერებით ახედეს—შენ გაგიმარჯოსო, მადლობა შეუთვალეს—აგრე ნანატრი ჟუჟუნა წვიმა რომ გადმოაღვარათ თავზე—დასიცხული დედამიწის სულდგმულთ, სახნავსა და სათესს, ტყესა და მინდორს...

დაგვიანებულმა სტუმარმა თავისი კილო-კავიც თან შემოიყოლია—მიამიტი, ალალი და მართალი ანუ ჩვენებურ-თერჯოლური. სოფელი ერთბაშად გამოცოცხლდა, ვინ ყანას მიუბრუნდა, ვინ ბოსტან-ბაღჩას, არის ერთი ამბავი, ყიჟინა, გადაძახილ-გადმოძახილი...

ოჯახში ფორიაქია:—„სულ გეუბნებოდი, კაცო, ერთი ქოლგა იყიდე, სანამდე გაწვიმდებათქო... ე, თუ არ გამართლდა ჩემი სიტყვა“—გაისმის ცოლის საყვედური.

—„დეიდუმე ენა, რამდენი ვიყიდე, იმდენი საცხა მიატოვე—არ აყოვნებს ქმრის პასუხი...

მეზობელი მეზობელს შეუძახებს: „სა არი გოგო, შენი ქმარი, ტელეფონს რო არ კიდებს ხელს—პატარა ხელის წაკვრა მჭირდებოდა!“...

—უიმე დედა, ჩემი ქმარი ე იქ არი, ე. დილაუთენია გადავარდა ჟავეთაში...

—აუჰ, რამე სერიოზული ხომ არა აქვს მოწეული, ვისი მანქანით იყო?..

მადლიერი—ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ეს რა სიცოცხლე გამოგვიგზავნე, ოფლში ვიწურებოდით იმედგადაწურულები.

უმადური—თუ სიკეთე უნდოდა, ვინ შეუშალა ხელი, დროზე გაწვიმებულიყო. ახლა, ამ ჟენთხაში ჟავეთაში რაფერ გინდა ან წასვლა ან სასუქის დაბნევა...

დაიბნევი კაცი...

სატირალი სატირა

—გალაკტიონი რომ დადიოდა და გრიშაშვილი, გოგლა, კონსტანტინე გამსახურდია და გურამ რჩეულიშვილი რომ დადიოდნენ, იმ რუსთაველზე ახლაც დასეირნობენ მამაკაცები, მაგრამ მათ შორის ქალისებრ შეკრეჭილი თმებით დამშვენებული; ყურგახვრეტილი მამრებიც ურევიან...

ეს ჩემი სამშობლოა?

თუ გადაბრუნებული ურემია?!

პწკარები

- დედა-შვილობის გენეტიკა—ბრმა სიყვარული!
- სიყვარულიც და სიძულვილიც ერთი დედის შვილები არიან.
- პირველობის ამბიცია ყველა ადამიანშია.
- შური საშინელებაა, მაგრამ მსოფლიო ცივილიზაციაში თავისი წილი უდევს.
- კაცობრიობა დაღალა ლაბირინთებში უგზოუკვალოდ ხეტიალმა. როგორც ჩანს, არეადნეს ძაფი გაწყდა რომელიღაც მონაკვეთში.
- რეალობა ადასტურებს ადამიანთა საუკუნეობრივ უსუსურობას—ჩაწვდნენ ჭეშმარიტების არსს.
- ქება მეტს გვავალებს.
- ჟარგონსა და კუთხურ კილო-კავზე საუბარს, ჯობს კბილზე-კბილის დაჭერა.
- სწრაფვა უკეთესობისაკენ არ არის ეგოიზმი.
- „შექანებულებს“ იუმორის გრძნობა აქვთ—შეგაქანებთ.
- ზედმეტად ყურადღებიან ადამიანებთან ურთიერთობისას ერთგვარად შეზღუდული ხართ.
- გარემოს პოეტის თვალით უნდა შევხედოთ—ის ლამაზია.
- ფული რომ ხელის ჭუჭყია კორონამაც დაადასტურა.
- მშვენიერება ფაქიზი მცნებაა, ნუ დავამძიმებთ ფილოსოფიური ეპითეტებით.
- ზღვარგადასული სიმკაცრე სისუსტის მიმნიშნებელია.
- გაუთავებელ საყვედურებს არ უსმენენ!

ნ. იშხნელი

„სიკვდილო კარგის მოკვლისთვის ნეტა ვინ გეტყვის ქებასა“

მევლუდ ელბაქიძის გახსენება

შვიდი წლის წინ დამკვიდრდა სიქთარვაში. რუსთავიდან ჩამოვიდა დედასთან ერთად. მასთან ხშირად ჩამოდიოდა შვილი, საბერძნეთში მცხოვრები დები. ახლადშეძენილ სახლში მოსვლის პირველსავე წუთებში, ბარგ-ავეჯი დაბინავებული არ ჰქონდათ, სულ რაღაც სამი მეტრით ერთმანეთთან დაცილებულ სახლებს შორის არსებული ჭიშკარი, რომელიც დიდი ბოქლომით იყო ჩაკეტილი, ჩაუხსნია და დაუგინებია—მე ასე მინდა და მას თუ არ უნდა, მისი დედაცო... მერე გავიცანით ერთმანეთი, გინების გაგრძელების საფუძველი რომ არ მიმიცია, მოწმეა მისი გარდაცვალების გამო ჩემგან დაღვრილი ცრემლი და ერთი წლის შემდეგაც სულში არსებული დიდი ტკივილი...

ელბაქიძეები მალე შეიყვარეს უახლოესმა მეზობლემა, თანდათან მთელმა სოფელმა. ჩვეულებრივ პირობებში მელოს ვეძახდი, ნასვამი თუ იყო და გვაწვალებდა მევლუდს, როცა მოხმარება მჭირდებოდა, მელიტონს. ასეთ დროს ჩაილაპარაკებდა—ახლა ვარ ხომ მელიტონიო. მელიტონ ელბაქიძე ჩემთვის იყო: ძმაკაცი, უმცროსი მეგობარი, კარგი მეზობელი და ისეთივე ახლობელი, როგორც საბიძაშვილო და ჩემს თვალწინ გაზრდილი სიქთარველი ბიჭები.

მელომ მალე გაიჩინა მეგობრები. ბიჭებმა კარგად მიიღეს, მოიპოვა სიყვარული და ავტორიტეტი, ენდობოდნენ „გამაუდში“, სადაც მუშაობდა, აქაც პატივს ცემდნენ და მთელ წარმოებას დაუფიქრებლად ჩაბარებდნენ.

მერე მსუბუქი ავტომანქანა იყიდა. სამჯერ დაამტვრია, ხან შეაკეთებდა, ხან არა, ბოჭავდა ავარიის ადგილზე ჩამოცვენილ ნაწილებს და იყო სიცილი.

ამბობდა—მალე მოვკვდები, მე მანქანის წერა ვარო. აუხდა წინასწარმეტყველება. საბერძნეთში დებთან წასული და სამუშაოზე მოწყობილი მელიტონ ელბაქიძე ავარიის და მანქანის მსხვერპლი გახდა. არც სიცოცხლეში დაუზარალებია ვინმე და ავარიის დროსაც მარტო იყო... მერე დებმა ჩამოასვენეს, ღირსეული პატივი მიაგო ოჯახმა, მეგობრებმა. მეზობლებმა, ახლობლებმა. ხალხმრავლობა იყო პანაშვიდების დღეებში, დასაფლავების დღეს თითქმის მთელი რუსთავი ჩამოვიდა.

გარდაცვლილზე ცუდს იშვიათად ამბობენ, მაგრამ მევლუდ ელბაქიძის გარემოცვაში არ მოიძებნება მასზე აუგის მთქმელი. იგი იყო: ერთგული, პატიოსანი, უღალატო, შეგეძლო მინდობოდი, ბოროტი ზრახვები შორს იყო მისგან და სწორედ ამიტომ იყო გამორჩეული.

გადარჩენილიყო, თუმდაც ლოგინზე მიჯაჭვულიო, ვამბობთ ხანდახან. არა, ძმაო და მეგობარო. დაუძლურებული, სიცოცხლეშივე სიკვდილთან მებრძოლი მევლუდის ნახვა, არა ნაკლებ მტკივნეული იქნებოდა, ვიდრე თავად გარდაცვალება.

მელოს საფლავი ახლა მოწყობილია, ყვავილები ამშვენებს, აქ ხშირად დადიან ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობარი ბიჭები.

ადრე წასულო ძმაო და მეგობარო, აგვისტოში 43 წლის გახდებოდი, აგვისტოში კი შენი სული მარადისობას შეუერთდა.

ნუ დაღონდები! ადრე წასვლაშიც არის ალბათ რაღაც შეუცნობელი და იდუმალიც, ღმერთსაც კარგი უნდაო და სიკვდილიც რჩეულებზე „ნადირობსო“ ნათქვამია. მაგრამ მაინც—სიკვდილი სევდაა, ადამიანად არ ყოფნის სევდა, მშვიდობით იყავი შენს სევდასთან და შენს მყუდრო ძილში, გემსუბუქოს გულზე დაყრილი სიქთარვის მიწა, რომელიც მშობლიურივით გიყვარდა. ჩვენ ხშირად მოვალთ შენ საფლავთან, მაგრამ მაინც, შენი საფლავის მარადიული დარაჯი იქნება სასაფლაოს გარინდება და სიჩუმე...

ჟუჟუნა ცხადაძე,

სიქთარველი მეგობრების და უახლოესი მეზობლების სახელით

ჰამლეტ მემანიშვილი

როგორ სწრაფად გაირბინა დრომ... 40 დღე გავიდა შენი ამქვეყნიდან წასვლის შემდგომ, ჩვენო ჰამლეტ! მოულოდნელი იყო ყველასათვის ეს დიდი ტკივილი. სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულს წელთა მატება არც კი გეტყობოდა: ძველებურად მხნე, იმედიანი, ოჯახისა და კეთილ-ნათესავების მოყვარული იყავ! ვინ იცის, რამდენი გეგმა და ჩანაფიქრი დაგრჩა განუხორციელებელი?! შენი და-ძმის მსგავსად ტრაგიკულ შემთხვევას შეეწირა შენი სიცოცხლეც და ამან კიდევ უფრო გაგვიმძაფრა წლების წინ მიღებული, მაგრამ მიყუჩებული ტკივილი.



ბევრი წრფელი ცრემლი გაგყვა... ასეა, ასაკს არ აქვს მნიშვნელობა, მართალი, წესიერი და ღირსეული ადამიანი ყველას ენანება ცივი სამარისათვის. სოფელი თბილია, ამიტომაცაა, რომ დღესაც ვერ დაუჯერებიათ შენი გარდაცვალების ამბავი—დიდს თუ პატარას, ქალსა თუ კაცს. შენს ლამაზ ეზოს, სახლ-კარსა და ზოგადად უბანს ძალიან აკლიხარ. თითქოს გაუფერულდა შენი ნალოლიავები კარ-მიდამოც კი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გამძლეობა ვუსურვოთ შენს ცალად დარჩენილ მეუღლეს, ჯანმრთელობა და წარმატება ზვიადსა და მის ლამაზ ოჯახს. დიდი სურვილი გვაქვს, რომ შენს ფუძეზე კიდევ მრავალი წელი გაგრძელდეს შენ მიერ გამაგრებული საგვარეულო ტრადიციები!

იყავ შენს მყუდრო ძილში კეთილშობილო, ნათელი სულის ადამიანო!

დისშვილები და ძმისშვილები

ბავშვები ფიქრობენ, განიცდიან, ოცნებობენ და... პოზიტივით გვავსებენ

6 ☞

მარიამ მუჯირი, 15 წლის: „არსებობს ყველაზე ფერადი, მზიანი, უღრუბლო, განუმეორებელი ხანა, ბავშვობა, რომელიც მაბედნიერებს! მინდა ყველა ჩემი თანატოლი ბედნიერი იყოს“...

ლიზა ვარდოსანიძე, 17 წლის: „კორონები მიფრინავენ! სად? —შორს. —ისევ დაბრუნდებიან? —აღარასდროს!!!“

მერი გაფრინდაშვილი, 14 წლის: მინდა ისევ ცას სწვდებოდეს ჩვენი ჟრიამული და მხიარულება, ქუჩებს ახმიანებდეს, სოფლებსა და ქალაქებს აცოცხლებდეს... აღარ მინდა ისევ დავშორდეთ ერთმანეთს, აღარ მინდა სიცარიელე“.

ნინი მაცაბერიძე, 13 წლის: „პანდემია გვაერთიანებს“...

მარიამ ხვარეშია, 14 წლის: „მომენატრა ჩვენი სკოლა, კლასელები, მასწავლებლები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, ჩვენი კლუბი, აღარ მინდა დავრჩე სახლში“.

გიორგი მაისურაძე, 13 წლის: „აღარ მინდა ვიარო ნიღბით“...

მარიამ ბუსკივაძე, 16 წლის: „ბავშვები მერცხლებს გვანან, რომლებსაც შეუძლიათ გაზაფხულის მოყვანა“...



მარიამ სახელაშვილი, 14 წლის: „მე მაქვს სიცოცხლის უფლება! ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

გიორგი ფანჩულიძე, 14 წლის: „მსურს ყველა ბავშვს ჰქონდეს თბილი სახლი, არ შიოდეთ, არ სცივოდეთ და მშობლებიც გვერდით ჰყავდეთ“.

სესილი რიჟამაძე, 11 წლის: „მე მინდა თავისუფლება“...

და ისევ **ლიზა ვარდოსანიძე:**
„ჭირი არსად, ლხინი ყველგან,
ქატოც არსად, ფქვილიც ყველგან“.

საუკეთესო სურვილებია... ყველა სურვილი და ოცნება ახდენოდეთ ამ და სრულიად საქართველოს ბავშვებს...

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპოდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872